ხაშურის მოამბე

№21 (272) 7 სექტემბერი, ორშაბათი, 2020 წელი

პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ლიდერებმა ხაშურის მოსახლეობას მაჟორიტარობის დეპუტატობის კანდიდატი ზაალ (ზაზა) დუგლაძე წარუდგინეს

3 სექტემბერს, ქვიშხეთში, სასტუმრო „მწერლებში“, პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ლიდერებმა ხაშურის მოსახლეობას მაჟორიტარობის დეპუტატობის კანდიდატი ზაალ (ზაზა) დუგლაძე წარუდგინეს.

თავის გამოსვლაში ბატონმა ზაზამ, უპირველეს ყოვლისა, მადლობა გადაუხადა „ქართულ ოცნებას“ მაღალი ნდობისთვის და აღნიშნა, რომ იგი ყოველთვის იყო და იქნება ხაშურელი და რომ ეს „ტიტული“ მისთვის მუდამ საამაყოა. არ ყოფილა დროის არცერთი მონაკვეთი, რომ მე მშობლიურ ქალაქზე და მთლიანად მუნიციპალიტეტზე არ მეფიქრა. მე მიყვარს ეს ქალაქი, მე მიყვარს აქაური ხალხი და ყველაფერს გავაკეთებ, რომ ჩემი ქალაქის და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობა გაუმჯობესდეს - ეს ეხება ყველა სფეროს _ ეკონომიკურს, კულტურულს თუ სოციალურს - განაცხადა მან.

***

ქვემოთ ქართული ოცნების“ ლიდერების გამოსვლის ტექსტებს გთავაზობთ უცვლელად.

გიორგი გახარიას სიტყვა

ბევრ ნაცნობ სახეს ვხედავ, ჩვენი გუნდის და ჩვენი კანდიდატის გულშემატკივრებს.

სიმბოლურია, რომ დღეს, ხაშურში, დიმიტრი ყიფიანის განახლებულ სახლ-მუზეუმში ვიმყოფებით. ეს დიდი პატივია და დიდი წარსულია, რომელსაც გაფრთხილება და ღირსეული გაგრძელება სჭირდება.

დღეს ხაშურში ვართ, შიდა ქართლში ვართ და არ შეიძლება, არ გავიხსენოთ ოკუპაცია. არ შეიძლება არ გავიხსენოთ, რომ დღეს გვყავს სამშობლოში დევნილი ათობით ათასი ადამიანი. განსაკუთრებით დღეს უნდა გავიხსენოთ ეს, იმიტომ რომ სულ ახლახან გახდა ცნობილი, რომ გაერო-ს გენერალური ასამბლეის 74-ე სესიაზე, რომელიც გლობალური პანდემიის შემდგომ ფიზიკურად პირველად ჩატარდა, 54 ქვეყნის მიერ ინიცირებული რეზოლუცია, რომელიც საქართველოში აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილების მხარდამჭერია, უპრეცედენტო, 84 ხმით გავიდა. ეს ნიშნავს ჩვენი დიპლომატიის გამარჯვებას და ადასტურებს, რომ ჩვენ გლობალურად გვაქვს სამართლიანი საერთაშორისო მხარდაჭერა იმ მიმართულებით, რომ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა უნდა აღვადგინოთ.

ჩვენ, როდესაც ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, ეკონომიკაზე და სოფლის მეურნეობაზე ვსაუბრობთ საქართველოში და განსაკუთრებით ქართლში, ყოველთვის გვახსოვს ჩვენი დევნილები და ყოველთვის გვახსოვს ჩვენი მოქალაქეები საოკუპაციო ხაზს მიღმა. რუსული ოკუპაცია არის ის გამოწვევა, რომელიც ქვეყნის განვითარებას აფერხებს, არა მხოლოდ დროში, ქვეყნის განვითარებას აფერხებს სხვადასხვა მიმართულებით. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ეს დავძლიოთ.

ყველას კარგად გვესმის, რომ ქვეყანაში სისტემური ინფრასტრუქტურა გასაახლებელია და დღეს, სახელმწიფო მილიარდობით ლარს ხარჯავს იმისთვის, რომ ჩვენ ეს პრობლემა მოვაგვაროთ. მიუხედავად პანდემიისა, მინდა გითხრათ, რომ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მუშაობა ქვეყანაში ერთი დღით არ შეჩერებულა. შედეგად, უპრეცედენტო ზომის, 70 კილომეტრი საერთაშორისო მაგისტრალური გზა წელს შევა მწყობრში, რაც, რა თქმა უნდა, მიმართულია იმისკენ, რომ ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოება დავიცვათ, მათ კომფორტი შევუქმნათ და, რა თქმა უნდა, ქალაქების ნორმალურ განვითარებას შევუწყოთ ხელი.

ასევე, მინდა გითხრათ და ერთგვარად, ბოდიშიც მოვიხადოთ ხაშურელების წინაშე, რომ გაგვიგრძელდა წყალმომარაგების პრობლემის მოგვარება. ეს პრობლემები წლებია დგას, მაგრამ გპირდებით, რომ უახლოეს პერიოდში დაიწყება და სრულიად რეაბილიტირებული იქნება ხაშურის, როგორც წყალმომარაგების, ასევე წყალარინების სისტემა და შეიქმნება გამწმენდი ნაგებობა, რომელიც ნორმალურ, თანამედროვე ქალაქს შეეფერება.

ყველამ იცით, რომ მიმდინარეობს სტადიონის რეკონსტრუქცია, პროფესიული სასწავლებლის მშენებლობა, რომელიც მომავალ წელს დასრულდება და რა თქმა უნდა, ბანა. ბანას სამონასტრო კომპლექსი, რომელიც დღეს ჩვენ ვნახეთ, ეს არის ხაშურის გვირგვინი, რომელიც აქ შექმნის ძლიერ საგანმანათლებლო ცენტრს და მისცემს შესაძლებლობას რეგიონს, შეასრულოს ის ფუნქცია, რაც აქვს - ეს არის საქართველოს შუაგული. რა თქმა უნდა, გზაჯვარედინს, რომელიც აქ არის, ისტორიული დატვირთვაც აქვს და რეალურიც, არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ კულტურულიც.

ყველას კარგად გვახსოვს ხაშურის ინდუსტრიული ფუნქციაც და ყველამ უნდა ვიშრომოთ მის აღსადგენად.

მინდა, ვისაუბრო ხაშურში სოფლის მეურნეობის განვითარების აუცილებლობაზე. ეს ის მუნიციპალიტეტია, რომელმაც ინდუსტრიული პროდუქციით, სოფლის მეურნეობის პროდუქტებით, რა თქმა უნდა, თბილისი უნდა მოამარაგოს. ამიტომ, ის პროგრამები, რომლებსაც ჩვენ დღეს ვახორციელებთ სოფლის მეურნეობის მიმართულებით, უნდა გავაგრძელოთ. „აწარმოე საქართველოს“ ბენეფიციარები კიდევ უფრო მეტი უნდა იყოს ხაშურში.

ჩვენ დავნერგეთ სიახლე. „აწარმოე საქართველოში“, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ბევრ კარგ პროგრამას ქმნიან იმისთვის, რომ ახალგაზრდებს და არა მხოლოდ ახალგაზრდებს, რომლებსაც შეუძლიათ საკუთარ თავზე აიღონ ინიციატივა, რისკი, დაიწყონ ბიზნესი, გახდნენ ფერმერები, მიეხმაროს. ამისთვის გვჭირდებოდა თბილისში ჩასვლა და სხვადასხვა სამინისტროში სიარული. დღეს ჩვენ გავაკეთეთ პროგრამა - „სახელმწიფო შენი პარტნიორი“ და ეს ყველაფერი იქნება თქვენთან, აქ, ქალაქში და მთლიანად გაიშლება გეოგრაფიულად საქართველოში. ადამიანს შეეძლება, მივიდეს საზოგადოებრივ ცენტრში და იუსტიციის სახლში და მიიღოს სრული ინფორმაცია იმ დონემდე, რომ კონტრაქტიც კი გააფორმოს ამ პროგრამაში მონაწილეობისთვის.

რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ჩვენი ახალგაზრდობა. ხაშურში მიმდინარეობს სკოლების რეაბილიტაცია, თუმცა ეს საკმარისი არ არის. არ უნდა იყოს არანაირი სხვაობა ხაშურში, თელავში, ზუგდიდში, თბილისში, ბათუმში, საქართველოს ყველა მოქალაქე თანაბარი მაღალი ხარისხის განათლებას უნდა იღებ-

დეს. ეს არის ის ამოცანა, რომელიც გვიბიძგებს მაღალი მიზნისკენ და რამაც უნდა შეგვასრულებინოს ჩვენი ძირითადი მოწოდება - ადამიანი. ადამიანი იყო და ყოველთვის იქნება „ქართული ოცნების“ ყურადღების ცენტრში.

ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ და რაც ერთად უნდა გავაკეთოთ, ეს არის ჩვენი შემდგომი 4 წლის სამოქმედო გეგმა. ყველა მიმართულებით - ეკონომიკის, თავისუფლების, ღირსების მიმართულებით, ის წარმატება, რომელსაც მივაღწევთ, რათა შევქმნათ კეთილსინდისიერი, ეკონომიკურად ძლიერი ევროპული სახელმწიფო, ჩვენ აუცილებლად უნდა გავუნაწილოთ ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს მაშინ, როდესაც ვიცხოვრებთ ერთიან, მთლიან სახელმწიფოში. ჩვენ ამას უნდა მივაღწიოთ შრომით და უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენი წარმატება ადრე თუ გვიან იქნება მათი წარმატებაც. ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი ძლიერი, დემოკრატიული სახელმწიფო, სადაც ადამიანის ღირსება და კეთილდღეობა იქნება ცენტრში, რომელიც მიმზიდველს გახდის მათთვის ერთიან სახელმწიფოს.

რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ წარმოადგენს ხაშურს საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში და ზაზა დუგლაძე არის ღირსეული ადამიანი, ამ კუთხის შვილი, რომელიც დარწმუნებული ვარ, იქნება ხაშურელების ღირსეული და ეფექტური ხმა საქართველოს პარლამენტში. მინდა, მას წარმატება ვუსურვო და მინდა ყველანი შევთანხმდეთ, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ, მაგრამ გავიმარჯვებთ სამართლიან ბრძოლაში. გამარჯვებას გისურვებთ!

კახა კალაძის სიტყვა იხილეთ II გვერდზე)

კახა კალაძის სიტყვა

ჩემთვის პატივია, წარვდგე თქვენს წინაშე, ქალაქში, რომელიც, პრაქტიკულად, საქართველოს გულია, ერთნაირად ნაცნობი და ახლობელი, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს თითოეული მცხოვრებისთვის.

სასიხარულოა, რომ სულ რამდენიმე დღის წინ დასრულდა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინფრასტრუქტურული პროექტი, როგორიცაა ხაშურის შემოვლითი, 13 კმ-იანი გზის მონაკვეთი. გარდა ამისა, რომ ხაშურში სატრანზიტო მოძრაობა შეწყდება და ქალაქი საცობებისგან განიტვირთება, პროექტი მნიშვნელოვანია ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხი-

თაც, რაც პირდაპირ აისახება ადამიანების ჯანმრთელობაზე.

რასაკვირველია, ჩვენ ვიზრუნეთ იმაზეც, რომ ახალი გზის გახსნასთან ერთად, შენარჩუნებულიყო ის ეკონომიკური აქტივობები, რაც უკავშირდებოდა ძველ საავტომობილო გზას ხაშურში, რათა მოსახლეობამ კვლავაც შეძლოს საკუთარი წარმოებული პროდუქციის რეალიზება. შესაბამისად, ახალ გზაზე მოეწყობა სპეციალური სავაჭრო სივრცეები, რომელიც ადგილობრივებს საშუალებას მისცემს, კიდევ უფრო განავითარონ საკუთარი ბიზნესი.

განვითარება ვახსენეთ და შეუძლებელია არ აღვნიშნოთ, რომ წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, რაც „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, შეიძლება ითქვას, ყველა მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული: განხორციელდა მნიშვნელოვანი რეფორმები ჯანდაცვის, განათლების, სოფლის მეურნეობის მიმართულებით, ასევე, ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამოყოფილი და დამტკიცებული გრანტები მცირე და საშუ-

ალო ბიზნესის განვითარების მიზნით. ეს ყველაფერი კეთდებოდა იმისთვის, რომ შექმნილიყო სამუშაო ადგილები, რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ დროთა განმავლობაში დაიძლიოს ქვეყანაში არსებული ერთ-ერთი გამოწვევა, რომელიც სწორედ ახალ სამუშაო ადგილების შექმნას უკავშირდება.

დღეს ჩვენ ვიმყოფებით ერთ-ერთ უმშვენიერეს ადგილზე- ქვიშხეთში, კონკრეტულად „რეზორტ მწერლებში“, ეს არის პროექტი, რომელიც განხორციელდა სწორედ სახელმწიფოს თანადაფინანსებით და ხელშეწყობით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ბევრი ასეთი პროექტი უნდა გაკეთდეს ჩვენ ქვეყანაში.

ჩვენ ძალიან ბევრს დავდივართ რეგიონებში, ყველა რაიონსა და ქალაქში ჩავდივართ და როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეს, მიხარია, თუ რა პროექტებია განხორციელებული და როგორი ხელშეწყობაა სოფლად მცხოვრები ადამიანების მიმართ. ძალიან ბევრი ოჯახი იყენებს იმ პროგრამებს, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან ფინანსდება. თუმცა ყველა ვთანხმდებით, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს პრობლემები, გამოწვევები და ამ ყველაფერს შესაბამისი პასუხები ჭირდება. ჩვენ ერთიანი ძალისხმევით, ჩვენი 24-საათიანი მუშაობით ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ყველა პრობლემა იყოს გადალახული და ყველა გამოწვევას ჰქონდეს შესაბამისი პასუხი.

თქვენ იცით, რომ 31 ოქტომბერს არის საპარლამენტო არჩევნები, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის, მისი მომავალი განვითარებისთვის. დღეს ყველაზე მთავარი, რაც ჩვენს ქვეყანას სჭირდება, ესაა სიმშვიდე და სტაბილურობა. 2012 წლის შემდეგ, რაც ხელისუფლებაში მოვედით, ჩვენთვის ყველაზე მთავარი, ღირებული და ამოსავალი წერტილი არის ადამიანი და ადამიანის კეთილდღეობა. ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯები, განხორციელებული რეფორმები, ყველაფერი მორგებულია ადამიანზე. მე დარწმუნებული ვარ, ეს განვითარების და სტაბილურობის გზა აუცილებლად შენარჩუნდება და მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ, ჩვენი ყოველდღიური ქმედებებით შევქმნათ პატარ-პატარა გამარჯვებები, წარმატებების ისტორიები.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება # 56

2020 წლის 01 სექტემბერი, ხაშური

2020 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებისათვის, ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო შეხვედრების ჩასატარებლად, სააგიტაციო მასალების გასაკრავად და გამოსაფენად ადგილების გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 46-ე მუხლი აწესებს ცალკეულ შეზღუდვებს, კერძოდ, კრძალავს სააგიტაციო მასალის საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთების, პოლიციის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების ინტერიერებსა და ექსტერიერებში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე განთავსება/გაკვრას. იმავდროულად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ავალდებულებს წინასაარჩევნოდ უზრუნველყონ თითოეული პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტის თუ კანდიდატის სააგიტაციო პროცესის წარმართვის შესაძლებლობა და განსაზღვრონ ადგილები ან/და დადგან სტენდები სააგიტაციო მასალის თვალსაჩინო ადგილებზე გასაკრავად, რათა ამომრჩევლები ინფორმირებულები იყვნენ თითოეული საარჩევნო სუბიექტის პროგრამისა და პლატფორმის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს დაკმაყოფილდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის თხოვნა და გამოიყოს ადგილები ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო შეხვედრების ჩასატარებლად, სააგიტაციო მასალების გასაკრავად და გამოსაფენად.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კიდექსის“ 45-ე მუხის მე-9 პუნქტის, 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. გამოიყოს ადგილები ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო შეხვედრების ჩასატარებლად, სააგიტაციო მასალების გასაკრავად და გამოსაფენად დანართი №1-ის შესაბამისად (დანართი №1);
2. ამ განკარგულების 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი სააგიტაციო მასალების გამოკვრა იმ ფორმით, რომ დაცული იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს სააგიტაციო მასალის გამოსაკრავად განკუთვნილი ადგილ(ებ)ით;
3. ამ განკარგულების 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტების მიერ გასაკრავი საარჩევნო პლაკატების მაქსიმალური რაოდენობა დგინდება შესაბამისი ადგილის ფართობის გათვალისწინებით, ისევე როგორც საარჩევნო სუბიექტების მიერ გასაკრავი საარჩევნო პლაკატების მაქსიმალური რაოდენობა ერთ საარჩევნო სუბიექტზე;
4. ამ განკარგულების 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას საარჩევნო პლაკატი შემდეგი ზომებით: სიგრძე არაუმეტეს 60სმ, სიგანე არაუმეტეს 42სმ (2 ფორმატით);
5. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას;
6. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე.
7. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, დაინტერესებული პირის მიერ, სარჩელის წარდგენის გზით, მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ხაშური, კოსტავას ქ.№15).

მიხეილ ჯანაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე

დანართი №1

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალების გასაკრავად შერჩეული ადგილები

ხაშურში:

1.ხაშურის საქალაქო კულტურის ცენტრის ე.წ რკინიგზის კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორია.

2.ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე განთავსებული დამის განათების ბოძებზე 3 მეტრის სიმაღლემდე დაშვებით, მაგრამ ბოძზე დამონტაჟებულ კვანძებთან, სადენებთან და სხვა ელ. მოწყობილობებთან არაუმეტეს 1 მეტრის სიახლოვისა.

დაბა სურამში:

1.კინოთეატრის მიმდებარე ტერიტორია;

2.კოსტავას ქუჩაზე მდებარე კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორია;

3.ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე განთავსებული დამის განათების ბოძებზე 3 მეტრის სიმაღლემდე დაშვებით, მაგრამ ბოძზე დამონტაჟებულ კვანძებთან, სადენებთან და სხვა ელ. მოწყობილობებთან არაუმეტეს 1 მეტრის სიახლოვისა.

მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული ე.წ ყოფილი სოფლის კულტურის სახლების, კლუბების და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე განთავსებული დამის განათების ბოძებზე 3 მეტრის სიმაღლემდე დაშვებით, მაგრამ ბოძზე დამონტაჟებულ კვანძებთან, სადენებთან და სხვა ელ. მოწყობილობებთან არაუმეტეს 1 მეტრის სიახლოვისა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სუბიექტების მიერ შეიძლება საარჩევნო ღონისძიებები ჩატარდეს შემდეგ შენობებში:

ხაშურში:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო დაწესებულებების სამუსიკო სკოლების გაერთიანების შენობა, მის: ხაშური, თამარ მეფის ქ. №1.
2. ა(ა)იპ კულტურის ცენტრების გაერთიანების შენობა, ხაშური, რუსთაველის ქუჩა, ჩიხი 2 № 6 .

დაბა სურამში:

1. კოსტავას ქუჩაზე მდებარე კულტურის სახლი.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში:

ე.წ სოფლის ყოფილი კულტურის სახლებსა და კლუბებში.

ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების ‘‘ 2020 წლის შვიდი თვის ანგარიში

ააიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში შედის 5 ბიბლიოთეკა - ხაშურის მთავარი, ხაშურის საბავშვო, სურამის, სოფელ ხცისის და სოფელ ცხრამუხის ბიბლიოთეკები.

ხუთივე ბიბლიოთეკა მთელი დატვითვით მუშაობს, ვახორციელებთ სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებს მოსახლეობის განათლების და ინტელექტუალური პოტენციალის ასამაღლებლად.

ბოლო წლებია ბიბლიოთეკამ საჯარო სივრცის ფუნქცია შეითვისა და ის მხოლოდ წიგნის შესანახი ადგილი არაა, თანამედროვე ბიბლიოთეკა არის საჯარო სივრცე ,სადაც ყველა მოქალაქეს შეუძლია ისარგებლოს უსასყიდლოდ და მიიღოს ყველა სახის საჯარო ინფორმაცია.

ბიბლიოთეკებში მოქმედებს მკითხველთა კლუბი,ქალთა კლუბი,კომპიუტერის და ინგლისური ენის შემსწავლელი წრე, კლუბი „ვაკეთოთ ერთად“, ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი, კულინარიის კლუბი, მშობელთა კლუბი - „ეფექტური მშობლობა“ , საბავშვო ბიბლიოთეკასთან არსებული მუსიკალურ - თეატრალური სტუდია, ამერიკის კუთხე, ლიტვის ცენტრი.

ბიბლიოთეკის პარტნიორები არიან : ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია, აშშ -ს საელჩო საქართველოში, ლიტვის საელჩო საქართველოში, გამომცემლობა „წიგნიერი“, “პალიტრა - ”, “ არტანუჯი“ , ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრი, ააიპ ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა.

საბიბლიოთეკო გაერთიანების რესურსია - 97 258 ეგზემპლიარი წიგნი; პერიოდიკა (ჟურნალ-გაზეთები) უცხოენოვანი ლიტერატურა (რუსული, ინგლისური, ფრანგული, გერმანული) უახლესი მასალები ნატოს ალიანსის შესახებ; ასევე - ინტერნეტში ჩართული 32 პერსონალური კომპიუტერი ; 4 - ლეპტოპი; 8 პრინტერი - (1 ფერადი პრინტერი); ქინდლი -4 ; ფოტოაპარატი -3 ; აიპადი - 4; პროექტორი - 3 (ეკრანით), თამაშის კონსოლი (XBOX); აუდიო წიგნები და ოპტიკური დისკის წამკითხველი (DVD); უსადენო ინტერნეტი (Wi-Fi) ელექტრონული და ბეჭდური კატალოგი; საინჟინრო-სამეცნიერო და ნანოტექნოლოგიური სათამაშოები.

მიმდინარე წელს, მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით სოფლის ბიბლიოთეკები განახლდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ავეჯით, წიგნადი ფონდით, ინტერნეტით და Wi- Fi. რაც ძალიან სასიხარულო სიახლეა მუნიციპალიტეტში.

ამის გარდა ბილიოთეკებში ტარდება შეხვედრები მწერლებთან, პოეტებთან, „ცოცხალ წიგნებთან“, მოსწავლეებისათვის და მოზრდილთათვის არის სხვა-

დასხვა კლუბები, ხორციელდება პროგრამები და პროექტები. წარმოგიდგენთ ღონისძიებების ჩამონათვალს, რაც ჩვენს ბიბლიოთეკებში ჩატარდა 2020 წლის დასაწყისიდან 7 თვის მანძილზე :

ხაშურის მთავარი ბიბლიოთეკა -

გამოფენები: 1.გიორგი ლეონიძის 120 წელი2. სოსო იორამიშვილის 115 წელი3. ლევან სანიკიძის 95 წელი -ხუთივე ბიბლიოთეკაში4. 25 თებერვალი - ოკუპაციის დღე - ხუთივე ბიბლიოთეკაში.5. კოლაუ ნადირაძის „თოვდა და თბილისს ეხურა თალხი’ - ხუთივე ბიბლიოთეკაში. 6. მირზა გელოვანის „ქართლის მიწავ, საყვარელო ქართლის მიწა“; 7. აკაკი წერეთლის 180 წელი ონლაინ გამოფენა;8. გურამ რჩეულიშვილის დაბადების დღესთან დაკავშირებით;9. ოტია იოსელიანის 90 წელი; 10. ზვიად გამსახურდიას დაბადების დღესთან დაკავშირებით;11. 9 აპრილი - ჩვენი ტკივილი - ხუთივე ბიბლიოთეკაში;12. მუხრან მაჭავარიანი „ოდესმე დიუდი ყოფილა საქართველო“;13.14 აპრილი - დედაენის დღე -ხუთივე ბიბლიოთეკაში;14. 9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღე -ხუთივე ბიბლიოთეკაში

15. 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე -ხუთივე ბიბლიოთეკაში

16. 8 აგვისტოს ომი -ლიტერატურის ონლაინ გამოფენა ; 17. ვაუჩერით შეძენილი წიგნების ონლაინ გამოფენა; 18. ვაჟა-ფშაველა 159 - ლიტერატურის ონლაინ გამოფენა - -ხუთივე ბიბლიოთეკაში; 19. ნოდარ დუმბაძე 92 - ლიტერატურის ონლაინ გამოფენა --ხუთივე ბიბლიოთეკაში;20. წიგნების ვირტუალური გამოფენა „საუკუნის ბინადარნი“.

ონლაინ კლუბები: 1.წიგნის კითხვის ონლაინ კლუბი „ათინათი“;

2.„ქალთა კლუბი“;

3.„ხელმარჯვეთა კლუბი“ - -ხუთივე ბიბლიოთეკაში;

4.„მაძიებლები“ სხვადასხვა თემებზე.

კალენდარული დღეები:

1. წიგნის კითხვის დღე - 5 თებერვალი - ხუთივე ბიბლიოთეკაში აღინიშნა ღონისძიებებით. მკითხველები, თემის მოსახლეობა, ჩვენი ქალაქის შემოქმედი ადამიანები კითხულობენ ამონარიდებს სხვადასხვა მაწარმოებებიდან.

პრეზენტაციები:

1. მაყვალა ხაჩიძის წიგნის „საუკუნის გასაყართან“ წარდგინება
2. წიგნის კითხვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით „ჩვენთვის საყვარელი ხაშურელი პოეტები“
3. რუსი მწერლისა და დიპლომატის ალექსანდრე გრიბოედოვის დაბადების დღესთან დაკავშირებით ლადო აფენიძის სამტომეულის „დუელი მგლის ველზე“ პრეზენტაცია

ფილმის ჩვენება

1. მწიგნობრობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით – გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხის „ მიხედვით.

ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა და მათზე კარტოთეკის შედგენა:

1. სოსო იორამაშვილის შემოქმედება;
2. ალექსანდრე ყაზბეგი;
3. დიმიტრი ყიფიანი;

საუბრები:



1.„ჩვენი ისტორიის ფურცლები“ ჯვრის მონასტერის ბიბლიოგრიფიული მასალა;

2. კოტე ხიმშიაშვილი - „ანტისაბჭოთა შეთქმულების მწერალი“;

სტუმრად ბიბლიოთეკაში:

1.გორის დემოკრატიის სკოლა;

2.ხაშურის საჯარო სკოლების მოსწავლეები და პედაგოგები ოკუპაციის მუზეუმში;

3.ხაშურის შემოქმედებითი განვითარების ცენტრის „კითხვის კლუბი“;

ონლაინ ტრენინგი:

1. „ისწავლე, რათა ამოიცნო“ 25 ადამიანი - ჩვენი მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლების, ბიბლიოთეკის მკითხველების და თანამშრომლების ჩართულობით.

ონლაინ სტუმრები:

1. საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი რუსუდან ასათიანი;
2. საბავშვო მწერალი ირმა მალაციძე;
3. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საინფორმაციო განყოფილების ხელმძღვანელი ნინო სუხიაშვილი.

აქტივობები:

1.საბიბლიოთეკო გაერთიანებაში დაცული ციფრული ფოტო-კოლექციის გასაჯაროება სოციალურ ქსელში;

2. ფეისბუქ-ვიქტორინა;

3. მოთხოვნადი წიგნების ელექტრონული ვერსიების მიწოდება საზოგადოებისათვის;

4. ვიდეო მასტერკლასი „როგორ შევკეროთ პირბადე“;

5. სხვადასხვა საინტერესი სტატიების გამოქვეყნება სოციალურ ქსელში;

6. ზაფხულის სეზონის ფეისბუქ-ვიქტორინის გამარჯვებულთა დაჯილდოება;

7. ონლაინ კლუბის შეხვედრა „ამერიკის დამოუკიდებლობის დღე“

სურამის ბიბლიოთეკა.

1. გასვლითი ღონისძიებები საჯარო სკოლებსა და საბავშვო ბაღებში;
2. სწრაფი კითხვის კონკურსი დაწყებით კლასებში;
3. ლექცია: „სეზონური გრიპი“;
4. ონლაინ კლუბების მუშაობა.

აქტივობა:

1. კულინარიული დუელი;
2. როგორ გავაკეთოთ პირბადეები - ნონა ფხიკიძე ონლაინ ჩართვა;
3. როგორ გავაკეთოთ ყვავილები - ნინო შილაკაძე - ონლაინ ჩართვა.

ხცისის ბიბლიოთეკა

1. პრეზენტაცია თემაზე : „დიდი მეფეები“ - დავით აღმაშენებელი;
2. ინგლისური ენის შემსწავლელი ონლაინ კლუბი;
3. მკითხველები სტუმრად ხაშურის ოკუპაციის მუზეუმში;
4. პოეზიის 5 წუთი - ს. ცხრამუხის საჯარო სკოლის მოსწავლეები ონლაინ კითხულობენ ლექსებს თანატოლებისათვის;
5. ონლაინ შეხვედრები და საუბრები.

ცხრამუხის ბიბლიოთეკა

1. თემატური საღამო: „შობა-ახალიწლის ტრადიციები“;
2. საუბარი წმინდა ნინოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ;
3. ინგლისური ენის შემსწავლელი ონლაინ გაკვეთილები;
4. კითხვის კლუბი;
5. ონლაინ შეხვედრები და საუბრები.

საბავშვო ბიბლიოთეკა

ინგლისურენოვანი კლუბის ონლაინ მეცადინეობა.

9 აპრილი- გამოფენა 9 აპრილი.

9 აპრილი- ვიდეომიმართვა: ვუსმენთ პატარა ანასტასია დარახველიძეს.

ლაზარე ბლიაძე ონლაინ კითხულობს ლექსებს თანატოლებისათვის. .

კესო ლომიძე ქ. ხაშურის №6 საჯარო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლე უამბობს თავის თანატოლებს დევიდ ბედიელის წიგნის „საოცნებო მშობლები“ შესახებ.

„პოეზიის 5 წუთი „ - მარიამ ღონდაძე ქ. ხაშურის მე- 9 საჯარო სკოლის მე- 2 კლასის მოსწავლე ონლაინ კითხულობს ლექსებს თანატოლებისათვის.

ინგლისურენოვანი თეატრალური კლუბის ონლაინ შეხვედრა. სპექტაკლისათვის „მძინარე მზეთუნახავი“ მზადება.

„ზალიკოს სტუდია“ - ხატვის ონლაინ გაკვეთილები.

საბავშვო ონლაინ ფოტოკონკურსი - „ ჩემი თვალით დანახული გაზაფხული „ ფოტო-კონკურსის მონაწილეთა ფოტოების ჩვენება.

ასევე, კალიგრაფიისა და სწრაფი კითხვის ონლაინ კონკურსები ეტაპობრივად ჩატარდა საბავშვო და სოფლის ბიბლიოთეკებში .

მ. დიდებულიძე, ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების ‘‘ დირექტორი

ხაშურის ისტორიისათვის (1693-2020 წწ)

ჩვენს მკითხველს

დღეიდან ვიწყებთ ისტორიკოს თამაზ ლაცაბიძის უაღრესად მნიშვნელოვანი ნაშრომის ბეჭდვას. ამ ნაშრომით ხაშურის ისტორიას ვეცნობით, რომელიც 1693 წლიდან (როდესაც ხაშური პირველადაა მოხსენიებული წერილობით წყაროებში) 2020 წლამდე პერიოდს მოიცავს.

ნაშრომში მკითხველი ბევრ საინტერესო და საყურადრებო მოვლენას თუ ფაქტს გაეცნობა. ნაშრომი, უკვე წიგნის სახითაა გამზადებული და როგორც მისი რედაქტორი, ქალბატონი მაყვალა ხაჩიძე აღნიშნავს წინასიტყვაობაში, ეს გახლავთ, ფაქტობრივად, პირველი ცდა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მუნიციპალური ცენტრის წარსულის შესწავლის თვალსაზრისით.

ვფიქრობთ, ნაშრომი საინტერესო იქნება არა მხოლოდ სპეციალისტებისათვის, არამედ მკითხველთა ფართო წრისთვისაც. და რაც მთავარია, იგი დიდ დახმარებას გაუწევს ყველას, ვინც ხაშურის ისტორიით არის დაინტერესებული.

წინათქმა

ხაშური ჩვენი ადგილის დედაა. აქ დავიბადენით, აქ გავატარეთ ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლები, აქვე ვაგრძელებთ ცხოვრებას და დიდი ხნის შემდეგ, აქვე გამოიძებნება ჩვენი ძვალთშესალაგიც...

ასე ცხოვრობდნენ ასეული წლების მანძილზე სხვადასხვა თაობის ხაშურლები და ასე იცხოვრებენ მომავალშიც.

ხშირად მსმენია – ხაშური ახალგაზრდა ქალაქიაო. შეიძლება ეს, მართლაც, ასე იყოს, რადგან ჩვენს თვალწინ მოხდა მისი ზრდა და განვითარება, მისი ფერიცვალება, მისი შევსება ახლო-მახლო სოფლებიდან თუ მეზობელი რაიონებიდან გადმოსული მოსახლეობით. ალბათ, ამიტომაცაა, დღეს, არათუ ხაშურში, მის სახელდებულ რაიონშიც კი ვერ იპოვნით ადამიანს თავისი წარმომავლობა, გვარის ისტორია არ იცოდეს.

ძალიან იშვიათია შემთხვევა, როცა ეს მომენტი დავიწყებულია, სხვა, მეორე – ადგილის დედა აღარ უჩანს და ხაშურის იქით მისი მეხსიერება და ხედვა აღარ მიდის, მხოლოდ აქ რომ ეგულვის თავისი მამა-პაპაც და იმათი კუბოს ფიცარი და მისი სამშობლოც და საცხოვრებელიც მხოლოდ ეს არის. ალბათ, რაც უფრო დიდი დრო გავა, წლები თავისას იზამს, ბევრს „დაავიწყებს" თავის სადაურობას და უფრო მეტად გაუჯდებათ სულსა და ხორცში ხაშურის სიყვარული. დარწმუნებული ვარ, უფრო მომეტებული იქნება ეს გრძნობა მომავალ თაობებში, რომლებიც უფრო მეტსაც შეძლებენ და გააკეთებენ ხაშურის აღორძინებისა და გამშვენიერებისათვის, მისი სულიერი ამაღლებისათვის.

წინამდებარე ვრცელ ნარკვევში, შეძლებისდაგვარად, გადმოცემულია ქალაქ ხაშურის ისტორიის მხოლოდ ზოგიერთი საინტერესო მომენტი. ეს არის პირველი ცდა მისი ისტორიის წარმოჩენისა. ჩვენ მიერ ადრეულ ადგილობრივი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებული წერილები დაედო საფუძვლად ამ წიგნს. იგი შეივსო ბევრი ახალი მონაცემებითა და ფაქტით. გავითვალისწინეთ სხვა მკვლევართა (ვ. გურგენიძე, გ. გოგალაძე, ს. ძინძიბაძე) ნაღვაწიც, ზოგიერთი საარქივო მასალაც მოვიძიეთ და ასე აიკინძა ჩვენი ნაშრომი ერთ წიგნად.

კარგად გვესმის, რომ ეს წიგნი დაზღვეული არ იქნება გარკვეული ხარვეზებისაგან. სამომავლოდ აუცილებელია, იმ მდიდარი საარქივო მასალის მოძიება და შესწავლა, რომელიც ხაშურის შესახებ არსებობს ჩვენს სიძველეთსაცავებში და შემდეგ უფრო სრულყოფილად მოხდება მისი ისტორიის შესწავლაც და გააზრებაც. ამჯერად კი მხოლოდ ამით დავკმაყოფილდეთ.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მომავალში უფრო ბევრი ღირსეული ხაშურელი გამოჩნდება, რომელიც ყველა შესაძლებლობას გამოიყენებს თავისი ადგილის დედის, მისი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის. გასაკეთებელი კი ძალინ ბევრია, თანაც საშური და გადაუდებელი.

გამოვთქვამთ რწმენას, რომ ხაშურის საზოგადოება და განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა, ვისთვისაც უფრო დაიწერა ეს წიგნი, ინტერესით შეხვდება ჩვენს გულისნადებს – სათანადო ყურადღებას გამოიჩენს ჩვენი წარსულისადმი. ყველა საქმიანი რჩევა და შენიშვნა კი ჩვენი მხრიდან გათვალისწინებულ იქნება მომავალ საქმიანობაში.

თუ ეს წიგნი მეტად შეგვაყვარებს ჩვენს ქალაქს და დაგვაინტერესებს მისი წარსულით თავს ბედნიერად ჩავთვლით.

ხაშურის ჭალა

ხაშურის, როგორც ქალაქისა და რაიონული ცენტრის ზრდასა და განვითარებას მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ შეუწყო ხელი. იგი ქვეყნის შუაგულში, აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს გზასაყარზე მდებარეობს, რაც მას საშუალებას აძლევს მოხერხებულად დაუკავშირდეს საქართველოს ნებისმიერ რეგიონს. აქედან რკინიგზის ხაზები გადის დასავლეთით და აღმოსავლეთით, ბორჯომ-ბაკურიანის, ახალციხისა და სურამის მიმართულებით. ხაშურზე გადის აგრეთვე საქართველოს აღმოსავლეთ, სამხრეთ და დასავლეთ რაიონების დამაკავშირებელი საავტომობილო მაგისტრალებიც.

ხაშურში საქალაქო ცხოვრებისა და მეურნეობის აღმავლობას XIX ს-ის 60-70-იანი წლებიდან ეყრება საფუძველი, რაც დაკავშირებულია საქართველოში რკინიგზის მშენებლობასთან. ხაშური ამ დროიდან ხდება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძი ამიერკავკასიის რკინიგზაზე. XXს-ის დასაწყისიდან, განსაკუთრებით კი 20-30-იანი წლებიდან, სწრაფად წავიდა წინ საქალაქო ცხოვრება და მეურნეობა. ზემოაღნიშნულ ფაქტორებთან ერთად, ამან განაპირობა მისი გადაქცევა რაიონულ ცენტრად. ხაშური თანდათან იზრდებოდა და ვითარდებოდა მის გარშემო არსებული ძველი დასახლებული ადგილების ხარჯზე. ასე იქცნენ მის უბნებად ერთ დროს წარსულში ცნობილი სოფლები: შინდარა, გორათი და ზემო ჭალა.

თითოეული სოფელი /შინდარა, გორათი, ზემო ჭალა/ და რა თქმა უნდა ხაშურიც, მდებარეობს მდ. სურამულას /იგივე სურამის წყალი, სურამის ფრონე/ აუზში, რომელიც ასევე ცნობილია სურამის ჭალის სახელწოდებით. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, სურამის ჭალა მოიცავს ტერიტორიას, რომელიც მდებარეობს მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე დაღალულიდან / სოფელსა და მინდორს ერქვა და მდებარეობდა სოფელ გომთან ახლოს/ მდ. შოლამდე, (ქვიშხეთში ჩამოედინება და მტკვარს ერთვის). "... არს ჭალა სურამისა, მტკუარის კიდესა, დაღალულიდამ შოლამდე" – აღნიშნავს ვახუშტი ბატონიშვილი.

სხვათა შორის, ერთ-ერთ ისტორიულ დოკუმენტში დასტურდება ტოპონიმი „ხაშურის ჭალა", რომელიც, როგორც ჩანს, სურამის ჭალის შემადგენელი ნაწილია და საკუთრივ მხოლოდ ისტორიული ხაშურის ტერიტორიას მოიცავს. ქაიხოსრო აბაშიძის ანდერძის წიგნის /1794წ./ მიხედვით "ხაშურის ჭალა", სურამიდამ რომ შარა გამოვა, ფონი რომ არი, ის არი... ბედიანისშვილისა და ბოლოკაძის მიწა შარას გვერდზედ აქვს, ფონს გაღმა".

როგორც ანდერძის ამ ნაწყვეტიდან ირკვევა, სურამიდან ხაშურისაკენ მომავალი შარა მდ. სურამულას მოუყვება, და ფონის საშუალებით ჰკვეთავს მას. სწორედ ამ ფონთან მდებარეობს "ხაშურის ჭალა".

ანდერძში მოხსენებული გვარები საშუალებას გვაძლევს დავაკონკრეტოთ "ხაშურის ჭალის" მდებარეობა. გვარები ბედიანაშვილი და ბოლოკაძე რუისის სამწყსოს 1715 წლის დავთრის მიხედვით სოფ. შინდარაში მოსახლეობენ. იგივე დასტურდება სხვა წყაროებშიც.

ამრიგად, "ხაშურის ჭალა" შინდარასთან ახლოსაა და მის სამხრეთ-აღმოსავლეთით უნდა მდებარეობდეს. კონკრეტულად კი ეს ტერიტორია დღევანდელი ხაშურის კოშკისა და წმ. მარინეს ეკლესიის მიმდებარე ადგილები უნდა იყოს მდ. სურამულას გასწვრივ. სწორედ აქ, "ხაშურის ჭალაში", მდ. სურამულას სანაპიროზე, მდებარეობდა ხაშურის სახელწოდებით ცნობილი დასახლება.

„მლაშე წყლის მარილი..."

ისტორიულ წყაროებში ნაკლებად მოიხსენიება ხაშური, არც ძველი საბუთები და დოკუმენტები გამოირჩევა მის შესახებ სიმრავლით. ამიტომ ბევრს ჰგონია, რომ იგი XIX საუკუნის 60-იან წლებში, რკინისგზის გაყვანის შემდეგ წარმოიშვა. თავის დროზე მართლაც ამ ფაქტორმა მოახდინა უდიდესი გავლენა ხაშურის დაწინაურებაზე. სწორედ ამის შემდეგ გაჩნდა აქ ქალაქური ტიპის დასახლება და ამიტომაც მიიჩნევენ მას საქართველოს ერთ-ერთ ახალგაზრდა ქალაქად. მაგრამ ირკვევა, რომ ხაშური ერთ-ერთი უძველესი დასახლებული ადგილია საქართველოში და იგი შორეული წარსულიდან იღებს სათავეს.

მის სახელწოდებასაც თავისებურად ხსნიან. როცა ამ საკითხზე ჩამოვარდება საუბარი, ზოგი, ალბათ, ხუმრობით, ზოგიც, ალბათ ძალზე სერიოზულად ხაშურის სახელწოდებას სიტყვა „შურს", ზოგიც „ხაშს" უკავშირებს და ა.შ.

მაგრამ მაინც რას უნდა ნიშნავდეს ქალაქის, ერთი შეხედვით, ცოტა უცნაური სახელწოდება ხაშური?

სულხან-საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში სიტყვა ხაშურს ასეთ განმარტებას აძლევს: "მლაშე წყლის მარილი, გინა რაც წყლისა და ტბისაგან მარილის მსგავსი რამ გამოვა: შაბი, ბავრუკი, გვარჯილა და მისთანანი, მათ ნიშანს ეწოდების".

იგივე განმარტება ეძლევა „ხაშურს" სხვადასხვა ლექსიკონებში. ლექსიკოლოგი ნ. ჩუბინაშვილი „ხაშურის" ასეთ განმარტებას იძლევა: „მარილი არა კლდის ქვისა, არამედ ზღვისა, ტბისა, ღვინისა ან კრემორტარტარი და მისთანანი, „соль морская, озерная, винная и т.п.

ასეთივე განმარტება აქვს ხაშურს იოანე ბაგრატიონის „საბუნებისმეტყველო განმარტებით ლექსიკონშც."

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში" „ხაშური" ისევეა განმარტებული, როგოც ეს სულხან-საბა ორბელიანთან, იოანე ბაგრატიონთან და ნიკო ჩუბინაშვილთან გვაქვს. მასში ნათქვამია, რომ ხაშური „მარილის, შაბის, გვარჯილის და მისთანანის დანალექი, მინადუღია".

ამრიგად, ხაშური მლაშე წყლის აორთქლების ან დაშრობის შედეგად დარჩენილ მარილს ეწოდება. ხშირად წყლის დაშრობის შემდეგ ნაპირებზე რჩება მოთეთრო ზოლები. სწორედ ეს არის ის მარილი, რომელსაც ხაშური ეწოდება. აქედან გამომდინარე ხაშური გვაქვს იქ, სადაც მლაშე წყლები და ნიადაგია.

დღევანდელი ხაშურის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ზემო სერიდან, რომელსაც კაკალათხევის სერსაც უწოდებენ, ჩამოედინება პატარა მდინარე, ე.წ. „ღარიბაღელე". სახელწოდება – „ღარიბაღელე",– იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეს ღელე პატარაა, ღარიბია. არაერთი ასეთი „ღარიბა-ღელე" გამოედინება ზემო სერიდან. ასე მაგალითად, ხაშურის ჩრდილო-დასავლეთით, ე.წ. „საქოლავის სერთან" ჩამოედინება ასეთივე ღელე და უერთდება მდ. სურამულას. მას „ცენეკაშვილების" ღელეს უწოდებენ. ამ „ღარიბაღელეების" წყალი მლაშეა, მარილიანია. აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ გარდა ამ „ღარიბაღელეებისა", ქალაქის ამ მონაკვეთში გავრცელებული ნიადიგი, ზემოსერის კალთებიდან მოყოლებული, თითქმის დღევანდელი თამარ მეფის ქუჩამდე, ნოდარ დუმბაძისა /ყოფილი ოქტომბრის/ და გაგარინის, თევდორე მღვდელისა /ყოფილი ელექტროფიკაციის/ და ვაჟა-ფშაველას ქუჩების მიმდებარე ტერიტორიები, მთლიანად მარილიანია და ყველგან მლაშე წყლები ამოდის. ასეთივე ნიადაგია სოფელ ოსიაურის გარკვეულ მონაკვეთზე, ნასოფლარ კაკალათხევსა და სხვაგან. ამ უკანასკნელზე დასტურდება ტოპონიმი – „ლაშეები", რომელიც კაკალათხევის აღმოსავლეთით მდებარეობს. ეს ადგილი ჭაობიანია და ცნობილია მარილიანი, მლაშე წყლებით. სწორედ აქედან მომდინარეობს ტოპონიმის სახელწოდებაც.

უნდა ვიფიქროთ, რომ აღნიშნული ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, ხაშური თავდაპირველად გარკვეული ტერიტორიის აღმნიშვნელი სახელი იყო, ხოლო შემდეგ, როცა აქ დასახლება გაჩნდა, მის სახელადაც იქცა.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

- საინტერესო შეხვედრა -

„სამშობლოსმცოდნეობა“- საგანი, რომელმაც მოზარდებში პატრიოტიზმი და სიყვარული უნდა გააღვივოს

საპატრიატქოს ჩოხოსნების ხაშურის სადროშოს ორგანიზებით, ხაშურის კულტურის ცენტრის დარბაზში

გაიმართა შეხვედრა სტუდია „გუთნის“ დამფუძნებელთან, წიგნის „სამშობლოსმცოდნეობის“ ავტორთან ლექსო გელაშვილთან.

ალბათ თითზე ჩამოსათვლელები არიან ადამიანები, რომლებიც უანგაროდ და დიდი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით ემსახურებიან საყვარელ საქმეს, სამშობლოს, სარწმუნოებას. ლექსო გელაშვილი ერთ-ერთი მათგანია. ამ რამოდენიმე წლის უკან, მეუფე სვიმეონის ლოცვა კურთხევით, ხაშურელ და სურამელ მაყურებელს ჰქონდა ბედნიერება ენახა მისი შესანიშნავი ფილმები ,,მიწის სჯული“- ემიგრაციისა და ემიგრანტების შესახებ და მეორე ფილმი -ქართველთა დემოგრაფიული კლებადობისა და აბორტის- უმძიმესი ცოდვის შესახებ!

მისი უწმინდესობის, პატრიარქის ილია მეორის მიერ დაწყებული ბრძოლა ჩვენი სულიერი და ფიზიკური გადარჩენისათვის გრძელდება!განსაკუთრებული აქცენტი ამ ბრძოლაში კი გადატანილია ჩვენი შვილების, ბავშვების,მომავალი თაობის სულიერი,ზნეობრივი აღზრდის სწორ წარმართვაზე!

ლექსო გელაშვილის წიგნი ,,სამშობლოსმცონეობა“, რომელიც მისი უწმინდესობის ლოცვაკურთხევით დაიწერა და რომლის განხილვა თოჯინების თეატრის დარბაზში მოეწყო, იძლევა ჩვენი შვილების დედა საშობლოსა და ქართული ოჯახის ტრადიციებისადმი ერთგულ-მამულიშვილებად აღზრდის სწორ მიმართულებას. საგაკვეთილო კურს სურამ-ხაშურის ეპარქიაში წარუძღვებიან საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი, გამოცდილი, პროფესიონალი პედაგოგები.

რომელიც მისი უწმინდესობის ლოცვაკურთხევით დაიწერა და რომლის განხილვა თოჯინების თეატრის დარბაზში მოეწყო, იძლევა ჩვენი შვილების დედა საშობლოსა და ქართული ოჯახის ტრადიციებისადმი ერთგულ-მამულიშვილებად აღზრდის სწორ მიმართულებას. საგაკვეთილო კურს სურამ-ხაშურის ეპარქიაში წარუძღვებიან საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი, გამოცდილი, პროფესიონალი პედაგოგები.

მოუწოდებთ ყველას,განსაკუთრებით ახალგაზრდა მშობლებს აქტიურად ჩაერთონ და შვილებთან ერთად დაესწროთ ,,სამშობლოსმცოდნეობის“ გაკვეთილებს!!!!

ახალისაგნის-სამშობლოსმცოდნეობისმიზანიმოზარდებში პატრიოტიზმის, სიყვარულის, მართლმადიდებლობის საწყისების გაღვივებაა, რითაც თავიდან ავიცილებთ გლობალიზაციის გამოწვევებს, შევინარჩუნებთ ჯანსაღ და ეროვნულად მოაზროვნე მომავალ თაობას.

გაკვეთილები უკვე მიმდინარეობს ქალაქ რუსთავის რამედენიმე საჯარო სკოლაში და მოსწავლეთა და მათი მშობლების დიდი მოწონებით სარგებლობს.

ვფიქრობთ, დროა, მშობლებმა, პედაგოგებმა, ერმა და ბერმა ერთად ვიზრუნოთ შვილების მომავალზე და ლექსო გელაშვილის მიერ გაკვალული გზით და შემოთავაზებული სახელმძღვანელოთი ვასწავლოთ მათ უმთავრესი და უპირველესი საგანი - „სამშობლოსმცოდნეობა“.

მიმართულებას, საგაკვეთილო კურს სურამ-ხაშურის ეპარქიაში წარუძღვებიან საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ,გამოცდილი,პროფესიონალი პედაგოგები.

მოუწოდებთ ყველას,განსაკუთრებით ახალგაზრდა მშობლებს აქტიურად ჩაერთონ და შვილებთან ერთად დაესწროთ ,,სამშობლოსმცოდნეობის“ გაკვეთილებს.

ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტებს სახელმწიფო გვერდში უდგას

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, 2020 წლის 1 სექტემბრიდან ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობის (ქიმიო,ჰორმონო და სხივური თერაპია) წლიურად ასანაზღაურებელი თანხა გაიზარდა 8000 ლარით.

საბაზისო, მიზნობრივი (სოციალურად დაუცველი ოჯახები 70 000 ქულამდე, პედაგოგები, სახალხო არტისტები, კომპაქტურად ჩასახლებული დევნილები, მზრუნველობამოკლებული ბავშვები, თავშესაფრების ბენეფიციარები და ა.შ) და ვეტერანის პაკეტის მოსარგებლეებს ნაცვლად 12 000 ლარისა, შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ 20 000 ლარის ღირებულების სერვისი.

ასაკობრივი (0-5 წლის ბავშვები, ასაკით პენსიონერები, შშმ ბავშვები, მკვეთრად შეზღუდული შმ პირები, სტუდენტები) პაკეტის მოსარგებლეებისთვის ნაცვლად 15 000 ლარისა, პროგრამით განსაზღვრული თანხა გახდა 23 000 ლარი.

ქიმიო,ჰორმონო და სხივურ თერაპიას ემატება სიმსივნის საწინააღმდეგო მედიკამენტების სამი ჯგუფი: მონოკლონალურ ანტისხეულები, პროტეინ-კინაზას ინჰიბიტორები და ბისფოსფონატები. აღნიშნული მედიკამენტები დღემდე სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული არ ყოფილა.

ანაზღაურებული თანხის ოდენობის გაზრდასთან ერთად, სახელმწიფო დაფარავს პაციენტის თანაგადახდის წილს, ამ



დენად პაციენტისთვის ონკოლოგიური დაავადების ქიმიო, ჰორმონი და სხივური თერაპია, ასევე სიმსივნის საწინააღდგომო მედიკამენტები იქნება სრულიად უფასო.

„ქართული ოცნების“ ლიდერმა ხაშურში, პროფესიული სასწავლებლისა და მანას სამონასტრო კომპლექსის ანალოგიური სამონასტრო-საგანმანათლებლო ცენტრის მშენებლობის პროცესს გაეცნენ

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია და „ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი კახა კალაძე, ხაშური-ქარელის საარჩევნო ოლქში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ზაზა დუგლაძესთან ერთად, ხაშურში მდებარე პროფესიული სასწავლებლის სამშენებლო სამუშაოებს გაეცნენ.

3-სართულიანი შენობა 150 სტუდენტზე იქნება გათვლილი და სრულად ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის. ტერიტორიაზე მოეწყობა თანამედროვე ტიპის სასწავლო სივრცეები, მათ შორის მაღალტექნოლოგიური სახელოსნოები, ასევე თანამედროვე სტანდარტის ღია სპორტული მოედანი.

პროფესიულ კოლეჯში შესაძლებელი იქნება რეგიონის საჭიროებებზე მორგებული ისეთი პროფესიების დაუფლება, როგორიცაა: ელექტროობა, საინ ფორმაციო ტექნოლოგიები, შედუღება, იატაკის მოპირკეთება, ქვის სამუშაოების წარმოება, კულინარია, კონდიტერია, ვეტერინარია, მეფუტკრეობა, მებაღეობა, სატყეო საქმე და სხვა.

ასევე, მათ დაათვალიერეს სურამისა და ხაშურის ეპარქიაში სამონასტრო-საგანმანათლებლო ცენტრის მშენებლობა, სადა ასევე, განთავსდება ბიბლიოთეკა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, მოეწყობა საგამოფენო სივრცე, ტრენინგცენტრი და საკონფერენციო დარბაზი.

ვინ არის ახალგაზრდა, რომელსაც ქართული მწერლობის ნიმუშები ჩაის ფინჯანზე ილუსტრაციებით გადააქვს?

- ვინ არის ნიკა ბარბაქაძე (სად დაიბადე, სწავლობდი, მოკლედ, შენზე მომიყევი)?

- მოგესალმებით, მე ვარ ნიკოლოზ ბარბაქაძე, 17 წლის ვებ-დეველოპერი და გრაფიკული დიზაინერი ხაშურიდან. ვსწავლობ ხაშურის 1 საჯარო სკოლაში.

- ფლექსის პროგრამაზე და ამერიკულ გამოცდილებაზე...

- FLEX-ს პროგრამაში მონაწილება ერთ-ერთი ყველაზე სწორი გადაწყვეტილება იყო. ამერიკაში გატარებულმა ერთმა წელმა მომცა ის გამოცდილება, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში დამეხმარება. ახალგაზრდებს ვურჩევ, რომ ცადონ ბედი, შეიძლება მათმა ამ გადაწყვეტილებამ მოულოდნელი გამარჯვება მოუტანოს, ისევე როგორც ჩემს შემთხვევაში.

- რა პროფესიას ეუფლები?

- ამჟამად ვმუშაობ კომპანია POD Agency-ში ვებ-დეველოპერის პოზიციაზე. მომავალშიც IT მიმართულებით ვაპირებ გაგრძელებას. დეველოპერობა მსურდა იმიტომ, რომ ჩემი თავი გამომეცადა საინტერესო სფეროში. პირველი ნაბიჯები მე თვითონ გადავდგი, თუმცა შემდეგ, ჯეოლაბის დისტანციური კურსი დამეხმარა. გრაფიკულ პროგრამებთან დაახლოება უბრალო ჰობის მსგავსად დაიწყო, ხოლო შემდგომში სასურველ საქმიანობად გადაიქცა.

- საიდან გაჩნდია იდეა, ჩაის ფინჯნებზე დაგეტანა ქართული მწერლობა ილუსტრაციებში?

- შთაგონების წყარო იყო უცხოური მინიმალისტური პოსტერი “Literary Coffee”, რომელიც მწერლების ხასიათსა და ნამუშევრებს ფინჯანი ყავის სტილით წარმოსახავდა. მომეწონა და ვისურვე ქართული ანალოგის არსებობა. ჩემი უნარების გამოსაცდელად და პორთფოლიოს გასამდიდრებლად დავიწყე პირველ ნამუშევარზე მუშაობა. ხატვის პროცესი იმდენად სასიამოვნო აღმოჩნდა, რომ გადავწყვეტე მთლიანი პროექტის სახის მიცემა.

- რამდენი ხანია დაინტერესდი ამ საქმით?

- დაახლოებით ორი წელია, რაც გრაფიკულ პროგრამებთან მუშაობა დავიწყე, თუმცა, ნამდვილი დაინტერესება სულ რაღაც, წელს გამიჩნდა, მსურდა ჩემი იდეების პოსტერზე გადმოტანა.

- სულ რამდენი მწერლის შემოქმედება გაქვს ილუსტრირებული?

- პროექტში 14 ნამუშევარია შესული და ქართული ლიტერატურის წარმომადგენლების ნაწილს მოიცავს. პოსტერებზე ასახულია როგორც “ლიტერატურული ჩაი”, ასევე ავტორების ხელმოწერებიც.

- რამდენად დიდია დაინტერესება და როგორია მომხმარებელთა შეფასებები?

- დაინტერესება საკმაოდ დიდია, გაკეთდა სიუჟეტები და ვიყავი მიწვეული სხვადასხვა ტელევიზიებში. ასევე, გაკეთდა რამოდენიმე სტატია. ვფიქრობ, რომ პროექტი საკმაოდ წარმატებული გამოდგა და წარმოაჩინა საზოგადოების დაინტერესება ძველი, უკვე კარგად ნაცნობი სფეროს ორიგნალური სახით წარმოდგენაზე.

- წარმოებას თუ აპირებ კომერციული კუთხით?

- გეგმაში მაქვს ილუსტრაციების უკვე რეალურ ფინჯნებზე დატანა. ამაში მეგობრები და ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენლები დამეხმარებიან. ამის შემდეგ, შეიძლება კომერციული კუთხით წარმოებაზე ფიქრი.

- სამომავლო გეგმები რას უკავშირდება?

- სამომავლოდ ამავე პროექტის მეორე ნაწილის გამოშვებას ვაპირებ. ასევე მსურს, რომ ხელოვნების სხვა სფეროების მივიწყებულ ავტორებს შევეხო და სხვა საინტერესო სახით გავაცნო საზოგადოებას.

თ. ჯავახიშვილი

საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილე პარტიების საყურადღებოდ!

„საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ და ასევე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილების (2012 წლის 15 აგვისტო) შესაბამისად, დღეიდან, 26 ოქტომბრის ჩათვლით, წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებისთვის, გაზეთში „ხაშურის მოამბე“ გამოყოფილია ფართობი. კერძოდ: ფასიანი რეკლამისათვის გამოყოფილია გაზეთის მე-4 გვერდი (988სმ²), უფასო რეკლამისათვის კი გაზეთის მე-5 გვერდის ნახევარი (494სმ²).

ფასიანი რეკლამის შემთხვევაში, ერთი კვადრატული სანტიმეტრის ღირებულება შეადგენს 15 თეთრს (ერთი გვერდი – 148 ლარი).

A3 და A4 ფორმატის ჩანართის შემთხვევაში (თუ ჩანართი გამზადებული სახით მოაქვს დამკვეთს და რედაქცია მხოლოდ ქსელში გავრცელების ვალდებულებას კისრულობს) კვადრატული სანტიმეტრის ფასია 10 თეთრი, ანუ A3 ფორმატის შემთხვევაში – 98 ლარი და 80 თეთრი, A4 ფორმატის შემთხვევაში – 49 ლარი და 40 თეთრი.

რედაქცია

რობერტ სუხიაშვილი იუწყება, რომ გარდაიცვალა

ნუგზარ რამიშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.